ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19

2011 წლის 28 ოქტომბერი

ქ. ვანი

თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების,საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულების“ შესაბამისად,

მუხლი 1.

დამტკიცდეს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ დებულება (დანართი№1).

მუხლი 2.

კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გია ოჩხიკიძემ.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. კაკაბაძე

დანართი №1

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს დებულება განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ქონება – თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული ქონება. მათ შორის, ვანის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ქონება.
2. ჩამოსაწერი ქონება-ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონება.
3. ორგანო (დაწესებულება) – ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა, ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.
4. საინვეტარიზაციო კომისია – ქონების ინვეტარიზაციის მიზნით შექმნილი კომისია.

მუხლი 3. საინვეტარიზაციო კომისია.

1. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით იქმნება საინვეტარიზაციო კომისია (შემდგომში – კომისია), ვანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში – თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებლივი აქტით. ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული)

იურიდიული პირების შემთხვევაში, იურიდიული პირის ხელმძღვანელის შესაბამისი აქტის საფუძველზე.

2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ ხუთი წევრისაგან. მათ შორის: თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, ბუღალტრის (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი) და სხვა წევრებისაგან.

3. ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის (სამსახურების) წარმომადგენლები.

4. საჭიროების შემთხვევაში კომისიის შემადგენლობაში შეიძლება მოწვეული იქნენ დარგის სპეციალისტები (აუდიტორი ან შესაბამისი ექსპერტი).

5. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ შექმნილ კომისიაში უნდა შედიოდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი.

6. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. კომისია სწავლობს ჩამოსაწერი ქონების ფაქტობრივ ფიზიკურ მდგომარეობას, სათანადო საფუძვლის არსებობისას, ასაბუთებს მისი ბალანსიდან ჩამოწერის აუცილებლობას და ამზადებს ქონების ჩამოწერისათვის ამ დებულების თანდართულ ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტებს (დანართი №1 ან №2), და ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტს (დანართი №3). თითოეულ ძირითად საშუალებაზე ცალ-ცალკე.

მუხლი 4. ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერის წესი

1. კომისია ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი ქონების ჩამოწერის აუცილებლობაზე დასაფუთებულ მოსაზრებას ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომელიც თავის მხრივ წარმოდგენილ დოკუმენტაციას გადასცემს თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. თვითმმართველი ერთეულის-ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღეს თვითმმართველი ერთეულის-ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც ამ მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს.

3. თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

4. ძირითადი აქტივები ჩამოწერილად ჩაითვლება საინვეტარიზაციო კომისიის დასკვნის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 5. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა

1. ძირითადი აქტივების ჩამოწერის პროცედურის დასრულების შემდეგ და ამ დებულებით დამტკიცებული №3 დანართის საფუძველზე, ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება ბალანსში მარაგების სახით, შესაბამისად №1 ან №2 დანართით გათვალისწინებული ღირებულებების შესაბამისად.

2. ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვას ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ჩამოწერილი და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების განადგურება

1. ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია, ექვემდებარება განადგურებას. გამოუყენებელი ქონების განადგურებაზე, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. ქონების განადგურების პროცესს ესწრება ამავე ქონების ჩამოწერის მიზნით შექმნილი კომისის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი, რაზედაც დგება ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტი.

3. ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების განადგურება უნდა განხორციელდეს ამ მიზნისათვის კანონმდებლობით გამოყოფილ ადგილებში.

4. ქონების განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივის (შენობა-ნაგებობებისა და გადასაცემ მოწყობილობათა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის----------მდგომარეობით

მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება ----------

№	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი) გრ.5-გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის %	საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ლარი	ლარი	აშშ დოლარი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები: 1

2

3

4

5

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, გრ.5 დან გრ.11 ის ჩათვლით არ ივსება.

ჩამოსაწერი ძირითადი აქტივის (მანქანა-დანადგარებისა და სხვა) ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტი

20 წლის----------მდგომარეობით

მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება----------

№	ძირითადი საშუალების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	ექსპლუატაციაში ყოფნის ვადა	ღირებულება გადაფასებამდე (ლარი)	ბუღალტრული ცვეთა გადაფასებამდე		ფიზიკური ცვეთა გადაფასებამდე		ნარჩენი საბალანსო ღირებულება გადაფასებამდე (ლარი) გრ.5-გრ.9)	გადაფასების კოეფიციენტი საქართველოს პრეზიდენტის 09.06.1997 წ. №295 ბრძანებულების საფუძველზე	ღირებულება გადაფასების შემდეგ (ლარი)	ცვეთა გადაფასების შემდეგ (ლარი)	საამორტიზაციო ანარიცხის ნორმა ძირითადი ფონდის სრულ აღდგენაზე	ფაქტობრივი ცვეთა				ნარჩენი საბალანსო ღირებულება	
					%	ლარი	%	ლარი						ბუღალტრული ცვეთის %	საბოლოო ფაქტობრივი მდგომარეობით %	საბოლოო ბუღალტრული მდგომარეობით %	ლარი	ლარი	აშშ დოლარი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20

კომისიის წევრები 1
2
3
4
5

შენიშვნა: თუ ძირითადი აქტივი შეძენილია, ან ნარჩენი საბალანსო ღირებულება განსაზღვრულია 1998 წლის 1 იანვრის შემდეგ, გრ.5 დან გრ.11 ის ჩათვლით არ ივსება.

დანართი №3

ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის აქტი

20 წლის ----------

მესაკუთრის, ბალანსმფლობელის დასახელება----------

№	ძირითადი აქტივების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	საწყისი საბალანსო ღირებულება. გადაფასებამდე	ცვეთა გადაფასებამდე		გადაფასების კოეფიციენტი	საწყისი საბალანსო ღირებულება გადაფასების შემდეგ /ლარი/	ცვეთა გადაფასების მერე /ლარი/	ნარჩენი საბალანსო ღირებულება /ლარი/	შენიშვნა
				%	ლარი					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
2										
3										
4										
5										
6										

კომისიის შემადგენლობა:----------

შექმნილი 20 წლის ---- ---------- № ------- ბრძანების საფუძველზე, რომელმაც დაათვალიერა ----------
---

და აღმოჩნდა, რომ ძირითადი საშუალება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს შემდეგის საფუძველზე:

1. ექსპლუატაციაში შესვლის / გამოშვების/ წელი ----------

2. საწყისი საბალანსო ღირებულება ----------

3. ძირითადი აქტივის ტექნიკური მდგომარეობა და ლიკვიდაციის მიზეზი

ა) ---------- ბ) ---------- გ) ----------

კომისიის დასკვნა----------

კომისიის წევრები: 1 ----------

2 ----------

3 ----------

4 ----------

5 ----------

ვამტკიცებ: ორგანოს /დაწესებულება/ ხელმძღვანელი:

ბ.ა

ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის შედეგების გამოთვლა

დანახარჯების ლიკვიდაცია			**ლიკვიდაციის შედეგად მიღებული**			
დოკუმენტის დასახელება	დანახარჯების ჩამონათვალი	თანხა ლარი	დოკუმენტაციის დასახელება	ფასეულობათა სახეები	რაოდენობა	თანხა (ლარი)
1	2	3	4	5	6	7

ლიკვიდაციის შედეგის საერთო თანხა ----------: (.....)
ლიკვიდაციის შედეგი .....
ბუღალტერი: 20 წ. ----- ----------
კომისიის თავმჯდომარე:
ვამტკიცებ: ორგანოს /დაწესებულება/ ხელმძღვანელი

ბ.ა.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. კაკაბაძე